

სამკურნალო საშუალების სამედიცინო გამოყენების ინსტრუქცია

ვიტაპროსტი®

Vitaprost

**სავაჭრო დასახელება:**

ვიტაპროსტი®

**საერთაშორისო არადაპატენტებული დასახელება:**

პროსტატის ექსტრაქტი

**წამლის ფორმა:**

რექტალური სუპოზიტორიები

**შემადგენლობა:**

ერთი სუპოზიტორია შეიცავს:

*მოქმედი ნივთიერება:* პროსტატის ექსტრაქტი - 50 მგ, წყალში ხსნად პეპტიდებზე გადაანგარიშებით - 10 მგ;

*დამხმარე საშუალებები:* მყარი ცხიმი (ვიტეპსოლი, მარკა H 15, W 35, სუპოსირი, მარკა NA 15, NAS 50) – 1, 25 გ მასის სუპოზიტორიის მისაღებად.

**აღწერა:**

ტორპედოს ფორმის სუპოზიტორიები თეთრი ფერის - თეთრი ფერის ყვითელი ან მონაცრისფრო-მოყავისფრო ელფერით. დასაშვებია სუპოზიტორიის ზედაპირზე თეთრი ფერის ნაღების წარმოქმნა და გასაყოფზე ჰაერის ღერძები და ძაბრისებრი ღრმულები.

**ფარმაცოთერაპიული ჯგუფი:**

ქრონიკული პროსტატიტის სამკურნალო საშუალება.

**ათქ კოდი:**

G04BX.

**ფარმაკოლოგიური თვისებები**

ვიტაპროსტი® გააჩნია ორგანოტროპული მოქმედება წინამდებარე ჯირკვალზე. ამცირებს წინამდებარე ჯირკვლის ლეიკოციტარული ინფილტრაციის, შეშუპების ხარისხს, ანორმალიზებს ეპითელიური უჯრედების სეკრეტორულ ფუნქციას, ზრდის ლეციტინურ მარცვლებს აცინუსების სეკრეტში, ასტიმულირებს შარდის ბუშტის კუნთების ტონუსს. აუმჯობესებს მიკროცირკულაციას წინამდებარე ჯირკვალში თრომბოზის წარმოქმნის შემცირების, ანტიაგრეგანტული აქტივობის შედეგად, აფერხებს ვენულების თრომბოზის განვითარებას წინამდებარე ჯირკვალში.

ვიტაპროსტი® ანორმალიზებს წინამდებარე ჯირკვლისა და ეაკულატის პარამეტრებს. ამცირებს ტკივილსა და დისკომფორტს, აღმოფხვრის დიზურიულ მოვლენებს, აუმჯობესებს კოპულაციურ ფუნქციას.

**გამოყენების ჩვენებები**

ქრონიკული პროსტატიტი.

მდგომარეობა წინამდებარე ჯირკვლის ოპერაციული ჩარევების წინ და შემდეგ.

**უკუჩვენებები**

მომატებული მგრძნობელობა პრეპარატის კომპონენტების მიმართ.

**გამოყენების წესი და დოზები**

რექტალურად, 1 სუპოზიტორია ნაწლავების ნებაყოფლობითი დაცლის ან ოყნის შემდეგ, დღეში 1-ჯერ. სუპოზიტორიის შეყვანის შემდეგ სასურველია პაციენტის საწოლში ყოფნა 30-40 წუთის განმავლობაში. პრეპარატ ვიტაპროსტიტ® მკურნალობის კურსის ხანგრძლივობა - არანაკლებ 10 დღე.

აუცილებლობისას შეიძლება განმეორებითი კურსების ჩატარება.

თუ მკურნალობის შემდეგ მდგომარეობა არ გაუმჯობესდა ან სიმპტომები გამწვავდა ან განვითარდა ახალი სიმპტომები, აუცილებელია ექიმთან კონსულტაცია.

### **გვერდითი მოქმედება**

ალერგიული რეაქციები.

*თუ რომელიმე ზემოთ მითითებული გვერდითი ეფექტი გამწვავდა ან შენიშნეთ სხვა ისეთი გვერდითი ეფექტი, რომელიც მითითებული არ არის ინსტრუქციაში, მიმართეთ ექიმს.*

### **ჭარბი დოზირება**

პრეპარატ ვიტაპროსტიტის® ჭარბი დოზირების შემთხვევების შესახებ ცნობილი არ არის.

### **ურთიერთქმედება სხვა სამკურნალო საშუალებებთან**

პრეპარატის გამოყენება შეიძლება კომპლექსურ თერაპიაში.

სხვა პრეპარატებთან ურთიერთქმედების და შეუთავსებლობის შემთხვევები აღწერილი არ არის.

### **განსაკუთრებული მითითებები**

გამოიყენება მხოლოდ მოზრდილი მამაკაცების სამკურნალოდ; არ გამოიყენება ქალებსა და ბავშვებში.

ქრონიკული პროსტატიტის მკურნალობა უნდა იყოს კომპლექსური, რაც გულისხმობს ვიტაპროსტიტთან® ერთად სხვა ჯგუფის რიგი სამკურნალო საშუალებების დანიშვნას და არამედიკამენტოზური მკურნალობის მეთოდებს.

ქრონიკული პროსტატიტის მკურნალობის დაწყებამდე, და აუცილებლობისას, მკურნალობის პერიოდში რეკომენდებულია წინამდებარე ჯირკვლის სეკრეტის ანალიზის ჩატარება.

წინამდებარე ჯირკვლის კეთილთვისებიანი ჰიპერპლაზიის სამკურნალოდ პრეპარატის გამოყენების პერიოდში აუცილებელია ექიმთან რეგულარული ვიზიტი მოცემული დაავადების სტანდარტული კონტროლისათვის. მკურნალობის კურსის დაწყებამდე აუცილებელია დარწმუნდეთ, რომ პათოლოგია არის კეთილთვისებიანი.

### **ზემოქმედება სატრანსპორტო საშუალებებისა და მექანიზმების მართვის უნარზე**

პრეპარატის გამოყენება გავლენას არ ახდენს სატრანსპორტო საშუალებებისა და მექანიზმების მართვის უნარზე და სხვა პოტენციურად სახიფათო საქმიანობის შესრულებაზე, რაც საჭიროებს ყურადღების კონცენტრაციას და ფსიქომოტორული რეაქციების სისწრაფეს.

### **გამოშვების ფორმა**

რექტალური სუპოზიტორიები 10მგ.

5 სუპოზიტორია პოლიეთილენით ლამინირებული პოლივინილქლორიდის ფირიან კონტურულ დანაყოფებიან შეფუთვაში.

ერთი ან ორი კონტურულ დანაყოფებიანი შეფუთვა სამკურნალო საშუალების სამედიცინო გამოყენების ინსტრუქციასთან ერთად მოთავსებულია მუყაოს კოლოფში.

### **შენახვის პირობები**

ბავშვებისაგან მიუწვდომელ ადგილას, არაუმეტეს 25°C ტემპერატურაზე.

**ვარგისიანობის ვადა**

2 წელი. პრეპარატი არ გამოიყენება ვარგისიანობის ვადის გასვლის შემდეგ.

**გაცემის წესი:**

ფარმაცევტული პროდუქტის ჯგუფი - III ჯგუფი, გაიცემა რეცეპტის გარეშე

**იურიდიული პირის დასახელება და მისამართი, რომლის სახელზეც გაცემულია რეგისტრაციის მოწმობა/მწარმოებელი/პრეტენზიების მიმღები ორგანიზაცია**

სს „ნიჟფარმი“, რუსეთი

603950, ქ. ნიჟნი-ნოვგოროდი,

სალგანსკაიას ქ. 7

ტელ: (831) 278-80-88

ფაქსი: (831) 430-72-28

ელ-ფოსტა: [med.stada@ru](mailto:med.stada@ru)